MES 9 22 0000868233

02/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 15:00სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე
`

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1.გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4.ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5.ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6.მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7.ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8.თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9.ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10.დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11.დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12.ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13.გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
14.თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
15.ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	კახაბერ კორძაია	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	ვახტანგ წივწივაძე		კანცლერი	I
3.	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I

4.	მიხეილ გოგატიშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II
5	მოგელი შენგელია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს	II
6	ნინო შოშიტაშვილი		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	II
7	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
8	სოსო გოგილიძე		პორექტორი აკადემიურ-სამეცნიერო დარგში	III
9	ქეთევან გეგიაძე		აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი	III
10	ლუკა ბერაია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა მონიტორინგის და აუდიტის განყოფილების ხემძღვანელი	III
11	თეონა შუშტაკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის განყოფილების ხემძღვანელი	III
12	კახაბერ თავზარაშვილი		ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი/სკოლა) ხელმძღვანელი	III
13	სამად ხარსარმაღამი		„ფარმაცევტული ქიმიის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	III
14	ლილი არაბული		ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, საბუნებისმეტყველო დეპარტამენტი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა	III
15	ხათუნა კალმახელიძე		„კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III

16	მირზა პაპუნა დავითაია		„კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულ ისაშუალებითმონაწილეობ ისშესახებ	საკითხი
1	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაკა ლაშხია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ქეთევან ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IIII
4	მაია ლევანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IIII
5	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IIII, IV, V
6	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IIII
7	ლაშა ბაკურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
8	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
10	ბაქარი დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველი საკითხი : შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№53934; 02.02.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა N 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 27 აპრილის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა ერთი წელი - 2022 წლის 27 აპრილი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2022 წლის 27 აპრილს აქვს წარმოდგენილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამას 2022 წლის 02 თებერვალს 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა. უნივერსიტეტმა გაასაჩივრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საბჭოს მიერ, რომელმაც ფუნქციონირება 2021 წლის 10 თებერვალს დაასრულა. სააპელაციო საბჭომ აღნიშნული საკითხი განმეორებით განსახილველად ახალ საბჭოს დაუბრუნა, რომელმაც საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, გარე ექსპერტის მოწვევა გადაწყვიტა. გარე ექსპერტის მხრიდან „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის დადებითად შეფასების შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის 27 აპრილს პროგრამას 7 წლით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 (ერთი) წელიწადში რეკომენდაციების ანგარიშის წარმოდგენის პირობით და მონიტორინგის ვალდებულებით. როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები; შეფასების ნაწილში კი საბჭომ გაიზიარა მოწვეული (დამოუკიდებელი) ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ „საბჭოს“ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მოსამზადებლად, 2021 წლის სექტემბერში სამართლის ფაკულტეტზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებსაც დაევალათ რეკომენდაციების შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა მის შესრულებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ასევე, მოიცავს საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულების თაობაზე ინფორმაციას. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ასევე იმუშავა რჩევების

მიმართულებით. სამუშაო ჯგუფის მიერ მხოლოდ ერთი რჩევა არ იქნა გაზიარებული და შესრულებული (არ არის სავალდებულო), დანარჩენი რჩევები გაზიარებულ იქნა და შესაბამისად შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ დეტალურად შეისწავლა თითოეული რეკომენდაცია და მოახდინა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

პრაქტიკის ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა არა ერთი ხელშეკრულება გააფორმა პრაქტიკის ობიექტებთან.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, 2021 წლის 15 დეკემბერს კერძო და საჯარო სამართლის სფეროში კონკურსის გზით აირჩია და აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნა ორი პროფესორი: გიორგი ხატიძე - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე საჯარო სამართლის სფეროში; ზვიად გაბისონია - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კერძო სამართლის სფეროში. ამავდროულად, პროფესორი გიორგი ხატიძე დაინიშნა სამართლის ფაკულტეტის დეკანად ხოლო პროფესორი ზვიად გაბისონია კანცლერის მრჩევლად მეცნიერებისა და ინოვაციების საკითხებში. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, 2022-2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან პროფესორი ზვიად გაბისონია წაიკითხავს სასწავლო კურსს „ტექნოლოგიების სამართალი“ ხოლო პროფესორი გიორგი ხატიძე ორ სასწავლო კურსს: „საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი“ და“ ევროკავშირის შიდა ბაზრის სამართალი“. მომავალი სემესტრიდან „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამას დაემატება კიდევ ერთი ახალი სასწავლო კურსი „სოციალური მედიის სამართალი“.

ამასთან, 2022 წლის 11 მარტს ცვლილება შეიტანა აკადემიური პერსონალის რანჟირების წესში, რომლის თანახმადაც, მე-9 მუხლის I პუნქტი ასე ჩამოყალიბდა: „აღნიშნული წესი ძალაში შედის 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან“ . რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, რომელთანაც უკვე არსებობს შრომითი ხელშეკრულება, ამ წესის ამოქმედების შემდეგ ჩაითვალა II რანგის ხელშეკრულების ფარგლებში სახელფასო ანაზღაურების ცვლილების გარეშე , ხოლო ფაკულტეტის დეკანებსა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან შეეცვალათ ხელშეკრულება I რანგის ხელშეკრულებით. ამგვარად, მე-9 მუხლის II და III პუნქტებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება როგორც 2018 წლის 01 სექტემბრის შემდეგ აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ, ასევე 2018 წლის 01 სექტემბრამდე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ აკადემიურ პერსონალზეც.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დაწესებულებამ არა ერთი ღონისძიება ჩაატარა ერთი წლის განმავლობაში, რომლებშიც როგორც სტუდენტებიც, ასევე აკადემიური პერსონალიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას. განისაზღვრა, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის დაფინანსების წესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:19
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები თამარ სირაძე და ნინო ჭალაგანიძე

2. მეორე საკითხი : შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკური ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№372007 19/04/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223 - ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის „პოლიტიკური ფილოსოფია“ აკრედიტაციის საკითხის განხილვისას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს დაავალა 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენა დაკისრებული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია ჩატარებული სამუშაოები რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. კერძოდ: პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მიემართებოდა აკრედიტაციის პირველ სტანდარტს, განხორციელდა შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევა, რომელიც ჩატარებულია სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის მიერ. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში და მის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ პოტენციურ დამსაქმებელთა ის წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან ჩართულნი პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში, სადაც შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშია წარმოდგენილი, ვრცლადაა განხილული პოლიტიკის ფილოსოფიის ცოდნის საჭიროება სხვადასხვა პოლიტიკურ თუ მმართველობით სისტემებში. აკრედიტაციის პირველი სტანდარტის მიხედვით პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. სადოქტორო პროგრამის - პოლიტიკური ფილოსოფია - მიზანში პირველსავე პუნქტად განსაზღვრულია:

„მოამზადოს პოლიტიკური ფილოსოფიის მკვლევართა ახალი თაობა, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც შეძლებენ საერთაშორისო და ლოკალურ დონეზე წარმოქმნილი ფილოსოფიური და პოლიტიკური მოვლენების/გამოწვევების მეცნიერულ ანალიზს, შეფასებას და არგუმენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას; მაღალკვალიფიციური ანალიტიკური, საკონსულტაციო, სამეცნიერო-პედაგოგიური და, კონკრეტული თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზებას/მართვას, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაწერილი პირველი რეკომენდაცია, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის ჩატარებას ითვალისწინებდა, უსდ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ შესაძლებელია საანგარიშო პერიოდში შესრულებულად ჩაითვალოს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით - დაკონკრეტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე, რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს - სადოქტორო პროგრამის კურიკულუმში შეტანილია ცვლილება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენა; შესაბამისად, აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, რომლის საფუძველზეც პროგრამის დაშვების წინაპირობები უნდა იყოს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი, საჯარო და კანონის შესაბამისი, გატარებული ცვლილების შემდგომ შესრულებულია.

მესამე რეკომენდაციით დაწესებულებას დაევალა სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსის „მენეჯმენტის პარადიგმების“ შესაბამისობაში მოყვანა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ სილაბუსში სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, განახლებულია ლიტერატურის სია და სასაწავლო თემატიკა. ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია უმეტესწილად თანამედროვე თეორიებსა და საკითხებზე და კვლევის პროცესის მართვაზე პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგი შესაბამისობაშია სადოქტორო პროგრამის მიზანსა და შედეგთან და სალექციო კურსით განსაზღვრული კრედიტები (5 კრედიტი) შესაბამისობაშია კურსის

შედეგებად და დატვირთვის ადეკვატურია. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია „მენეჯმენტის პარადიგმების“ სალექციო კურსის განახლებასთან დაკავშირებით ადასტურებს საანგარიშო პერიოდში დაკისრებული რეკომენდაციის შესრულებას.
რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას - დაიხვეწოს საბიბლიოთეკო მომსახურება, პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი წიგნადი ფონდი და საერთაშორისო ბაზებზე წვდომა - ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც აღწერილია, რომ საანგარიშო პერიოდში განახლდა მონაცემთა ბაზები და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები მათი გამოყენების შესახებ. გამოგზავნილ დოკუმენტებში არის იმ ლიტერატურის სია, რომელიც სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურით არის განსაზღვრული და დაწესებულების მიერ განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამ ეტაპზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის - პოლიტიკური ფილოსოფია - დოქტორანტებისათვის საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია. საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობა და სტუდენტების ინფორმირებულობა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ (მეოთხე რეკომენდაცია), შესაძლებელია შესრულებულად ჩაითვალოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ დაწესებულებამ ჩაატარა როგორც თვისობრივი კვლევა, ასევე გამოკითხვებიც. შესაბამისად, თვალსაზრისების შეფასების შედეგად წარმოადგინეს საბოლოო დასკვნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:33

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} საფუძველზე შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „პოლიტიკური ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

15:35 - საბჭოს სხდომა დატოვეს ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, ირინა გველესიანმა, თეა მჭედლურმა და ერეკლე ასტახიშვილმა.

3. მესამე საკითხი : შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინოწარმოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4		-

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი / Master of Audiovisual Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, კოსტავას 77ა, 0171
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2022 წლის 3 მაისს. ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში ადგილზე, თუმცაღა გარკვეულ შერჩევის ჯგუფებს (სტუდენტები და კურსდამთავრებულები) ექსპერტები გაესაუბრნენ ზუმ პლატფორმის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ვიზიტს ჰქონდა საქმიანი და თანამშრომლური ხასიათი, ექსპერტებსა და დაწესებულებას შორის შედგა კონსტრუქციული თანამშრომლობა. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული რესურსები, სტუდენტისა და

ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტისა და პროგრამის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შემდგომ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველის ტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _– სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საბჭოს გააცნეს დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) 5 დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა;
4. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება;
6. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები;
7. რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში გამოტანა, ხოლო მეორე

მხრივ, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები დაუკავშირდეს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს;

9. რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას;
10. რეკომენდებულია, დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;
11. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ;
12. რეკომენდებულია, სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან;
13. რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
14. რეკომენდებულია, გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები;
15. რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად;
16. რეკომენდირებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა;
17. რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.);
18. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში;

19. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას;
20. რეკომენდირებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
21. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი და სხვ.), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში;
22. რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
23. რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძდო კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი;
24. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;
25. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;
26. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე;
27. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის, საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;
28. რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
29. რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ

განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილვა აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს 19 სწავლის შედეგი, შესაბამისად, ექსპერტებთან დააზუსტა მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია, სწავლის შედეგების შესახებ, ფოკუსირებული იყო თუ არა რაოდენობაზე და დააზუსტა მათი დაჯგუფების შესაძლებლობა. ამასთან საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული სწავლის შედეგები სამაგისტრო დონეს.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია არ ეხებოდა მხოლოდ რაოდენობას და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება, მაგალითად, მსგავსი სწავლის შედეგების დაჯგუფების, გაერთიანების ხარჯზე, რადგან რაოდენობრივად ბევრი ან ურთიერთგადამფარავი სწავლის შედეგი გაართულებს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც შუალედურად, ისე პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ძნელად გაზომვადი, ზოგადი და რიგ შემთხვევაში ბუნდოვანი ფორმულირებები, როგორიცაა: „აუდიოვიზუალური კონტენტის არსის ცოდნა“, „გადასაღებ მოედანზე შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის ცოდნა“, „მონტაჟის, გახმოვანების, ფერის კორექციის, კომპიუტერული ეფექტების გაგება“, „სცენარის სტრუქტურის, პერსონაჟების, მათი მოტივაციების, კონფლიქტების და დრამატურგიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნა“ და ა.შ. აუცილებელია, პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები. რაც შეეხება სამაგისტრო დონესთან შესაბამისობის საკითხს, ის ფორმულირებები და წარმოდგენილი შინაარსობრივი მოცემულობა სამაგისტრო დონესთან სრულ შესაბამისობაში არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა სოსო გოგილიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა უნდა იყოს კონკრეტული, რათა საბჭომ შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება და დაწესებულებამ შეძლოს დასკნაში არსებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სოსო გოგილიძემ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციეზე, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების რაოდენობას და განმარტა, რომ დაწესებულება შეძლებს გადახედოს და საჭიროების შემთხვევაში დააჯგუფოს ისინი. თუმცა აღნიშნა, რომ დასკვნაში არ იკითხება რომელი სწავლის შედეგი არ შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, წარმოდგენილი სტრუქტურით რომელ შედგეზე გასვლა ვერ მოხერხდება. ასევე განმარტა, რომ სასურველია ექსპერტთა დასკვნაში უფრო მეტად იყოს ვლინდებოდეს რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში თუ როგორ განვითარდება საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, ისაუბრა ექსპერტთა შეფასებაზე და განმარტა, რომ დასკვნაში არსებული მოსაზრებები არა თუ რეკომენდაციის, არამედ რჩევის კრიტერიუმებსაც არ შეესაბამება. მან ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ხარისხის მექანიზმების შესახებ გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ხარისხის მექანიზმები, რომლებიც შეიმუშავება უნივერსიტეტში არის სრულიად დაწესებულების დისკრედიტაცია. არჩილ ჯანგირაშვილმა დაზუსტების მიზნით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, თუ ფლობდა ინფორმაციას უსდ-ში არსებული პროგრამის განვითარების საბჭოს შესახებ, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქრისტინე ჩიხლაძემ განმარტა, რომ არამარტო ფლობს ინფორმაციას აღნიშნული საბჭოს არსებობის შესახებ, არამედ შესწავლილი აქვს მისი მუშაობის მექანიზმიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა დაწესებულებაში არსებული პროგრამის განვითარების საბჭოს მუშაობის სპეციფიკა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების საბჭო ყველა პროგრამასთან მიმართებით ინდივიდუალურად იქმნება. მის შემადგენლობაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტ(ებ)ი, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნას სხვა გარეშე პირებიც. პროგრამის განვითარების საბჭო მუშაობს დარგობრივი კუთხით და აანალიზებს შიდა ხარისხის მექანიზმებით მოპოვებულ ინფორმაციას. აღნიშნული სქემა საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2018 წლიდან მუშაობს და, მისი თქმით, არცერთ გარე შეფასების პროცესში ამ საბჭოსთან მიმართებით არ გაჩენილა კითხვის ნიშნები. მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფმა სიღრმისეულად ვერ შეისწავლა აღნიშნული საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტება გააკეთა, ასევე, უსდ-ში არსებული სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებზე. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციებსა თუ რჩევებს, რადგან უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებში დეტალურად არის აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელი არჩილ ჯანგირაშვილი, ასევე შეეხო სწავლის შედეგების რაოდენობას და განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლის შედეგების განსაზღვრა უსდ-ს დისკრედიტაციაა და კანონმდებლობით არ აქვთ შეზღუდვა რაოდენობის განსაზღვრისას. ასევე, აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამისათვის გნსაზღვრული სწავლის შედეგების (პროგრამას აქვს 19 სწავლის შედეგი) ოპტიმიზაციაც სამართლებრივ პროცედურას უკავშირდება. ასევე, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, რეკომენდაციის შემუშავების დროს არ აქვს დაკონკრეტებული, თუ რას თვლიან სწავლის შედეგების ოპტიმალურ რაოდენობას, ან რა გზებით შეიძლება მათი დაჯგუფება და გადამუშავება. არჩილ ჯანგირაშვილის მოსაზრებით, ექსპერტთა დასკვნაში არსებული აღწერილობა არის ზოგადი და არ მოიცავს შინაარსობრივ დასაბუთებას, თუ რის საფუძველზე გასცეს ექსპერტებმა თითოეული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტება გააკეთა საგანმანათლებლო პროგრამის სათაურთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მიხედვით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან“. და დასვა კითხვა, თუ რას აზიანებს პროგრამის ასრებული სახელწოდება, და რამ განაპირობა აღნიშნული საკითხის მიმართ რეკომენდაციის გაცემის საჭიროება.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტება გააკეთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან მიმართებით. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მან განარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია - (რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას - არ არის რელევანტური, რადგან კანონმდებლობით მხოლოდ რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებს მოეთხოვებათ წინასაფეხურზე პროფილით მიღებულ განათლება. მან, ასევე, განმარტა, რომ უსდ-ს გათვლაა მოიზიდოს არამარტო ხელოვნების მიმართულებით არსებული ბაკალავრიატის საფეხურის

კურსდამთავრებულები, არამედ უფრო ფართო სპექტრი, რის საჭიროებას, ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიც ადასტურებენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე უნივერსიტეტის ბაზაზე უკვე მოქმედებს ამ მიმართულების სასერტიფიკატო კურსები და არსებული მოთხოვნის მიხედვით განსაზღვრეს დაშვების წინაპირობებიც. დამატებით განმარტა, რომ დღეს არსებობს უამრავი Online რესურსიც, სადაც პიროვნებას საშუალება აქვს შეისწავლოს მონტაჟიც, რეჟისორობაც და ა.შ. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრანტს აბარებინეს შიდა გამოცდას, რის საშუალებითაც იგი ზომვას აპლიკანტის წინარე ცოდნასა და უნარებს და ამ კუთხით საზღვრავს შეძლებს თუ არა პიროვნება საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევას და გავა თუ არა დასახულ შედეგზე.
რაც შეეხება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის საკითხს, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს რეჟისორის ან ოპერატორის კვალიფიკაციას. მისი კვალიფიკაციაა აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი და, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსებიც შერჩეული კვალიფიკაციისა და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო ის სასწავლო კურსები რაზეც ექსპერტთა ჯგუფი ამახვილებს ყურადღებას მნიშვნელოვანია კონკრეტულად რეჟისორის ან ოპერატორის კვალიფიკაციისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, ისაუბრა, ასევე, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობენ ექსპერტები, როცა ამბობენ, რომ გადასახედია შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში. მისი განმარტებით, აკრედიტაციის სტანდარტის მტკიცებულებებში არის მოთხოვნილი შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში, რაც სამართლებრივი მოთხოვნაა და წარმოვადგინეთ, მაგრამ არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა თუ როგორ ან რა სახით უნდა იყოს ის წარმოდგენილი. სწორიც არის, რადგანაც სამართლებრივად ერთგვაროვანი დოკუმენტის წარმოდგენა ვერ მოემსახურებოდა განათლების მიზნებს. სფეროები, რომლის ფარგლებშიც იქმნება აკადემიური პროგრამები სხვადასხვაგვარია, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ საკითხებს მოიცავს და, შესაბამისად, აკრედიტაციის მტკიცებულებები, მათ შორის შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში, ყალიბდება პროგრამის ინდივიდუალური მიდგომებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. რაც, ასევე, დაფიქსირებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში.
არჩილ ჯანგირაშვილმა ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. მან აღნიშნა, რომ, პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსები, მათ შორის აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი). პროგრამისთვის შესყიდულია უახლესი, თანამედროვე აპარატურის სრული საჭირო კომპლექტი. სტუდენტები ინფორმირებულნი იქნებიან აპარატურის გამოყენების წესების შესახებ. აუდიტორიები განკუთვნილია როგორც მცირე, ისე ფართო ჯგუფებთან მუშაობისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება უახლესი სახელმძღვანელოები და წიგნები, უზრუნველყოფილია სტუდენტებისათვის საჭირო ლიტერატურის შეუფერხებლად მიწოდება. გარდა ამისა მათ შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით სრულად არასამართლიანია და არარელევანტურია. (ამ მომენტში ჩაერთო სხდომის თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი, რომელმაც თხოვნით მიმართა არჩილ ჯანგირაშვილს თავი შეეკავებინა ექსპერტთა მიმართ არაკოლეგიალური და არაეთიკური კომენტარებისაგან, და ასევე აღნიშნა, რომ მთელი სხდომის განმავლობაში მის საუბარში შეიმჩნეოდა არააკადემიური დამოკიდებულება ექსპერტთა მიმართ, რაც გამოწვეული იყო, იმით, რომ არჩილ ჯანგირაშვილის აზრით ექსპერტთა მიერ გაკეთებული შეფასება იყო სუბიექტური და მიმართული იყო პროგრამის საწინააღმდეგოდ) ვიზიტის ეტაპზე ექსპერტებმა ნახეს 2 კამერა, 2 სამონტაჟო კომპიუტერი და 1 კომპიუტერი ფერის კორექციისთვის, რომელიც გათვლილია მაქსიმუმ 20

სტუდენტზე, რაც სრულად საკმარისი გამოდიოდა მათი შესაბამისი გრაფიკით გამოყენების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, უსდ-მ შეუკვეთა და შეიძინა 2 ლეპტოპი და 2 კამერა. მან, ასევე, განმარტა, რომ კინოწარმოების მიმართულებით უსდ-ს ბაზაზე არსებული სასერთიფიკატო კურსი იყო პილოტირებისათვის გაკეთებული, რათა მათ ჰქონოდათ საშუალება დაკვირვებოდნენ უნივერსიტეტის შესაძლებლობებსა და, ასევე, მატერიალურ ბაზას და დაადასტურა, რომ აღნიშნული სასერტიფიკატო კურსი სექტემბრის თვეში სრულდება. ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს დაფიქსირებული რეკომენდაციაში კომპიუტერული ტექნიკის რელევანტური რაოდენობა, რათა სრულყოფილად განხორციელდეს სასწავლო პროგრამა. მისი განმარტებით თუ ჯგუფი დაიყოფა 4 სესიისათვის არსებული 3 კომპიუტერი საკმარისი იქნება. რადგან აღნიშნული ტექნიკა არის ულტრათანამედროვე და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის საკითხზე და აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი ასევე განხილული იქნა პროგრამის განვითარების საბჭოზე. კომპეტენცია, რომ შეიქმნას აუცილებელია შესაბამის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მოხდეს ანალიზი თუ რა სად შეიძლება გადანაწილდეს. ვინაიდან მოცემული პროგრამა არის ახალი, სრული ციკლი მასზე არ განხორციელებულა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებში ასახეს აუცილებელი კომპონენტები და შემდეგი ეტაპის გათვალისწინებით მოხდება უკვე ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შედეგების ასახვაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კალმახელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის და პროგრამის ასე დეტალურად შესწავლისათვის. და განმარტა, რომ მათი მიზანი იყო შეექმნათ ინოვაციური და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც საერთაშორისო დონის სტანდარტებსაც დააკმაყოფილებდა. ასევე აქცენტი გააკეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციაზე და ჩამოთვალა მათი ბოლო ნამუშევრები. მისი განმარტებით უსდ-ს აქვს კონტაქტი „ჰოლივუდის“ წამყვან პროდუსერებთან, რომლებიც მომავალში მასტერკლასებს ჩაატარებენ სტუდენტებისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ განათლებით არ არის კინოწამროების სპეციალისტი, არის საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა დააფიქსირა რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა მისთვის პრიორიტეტული იქნებოდა. ასევე აღნიშნა, რომ სასერტიფიკატო პროგრამაზე აპლიკანტთა დიდ რაოდენობას არ ჰქონდა განათლება მიღებული ხელოვნების მიმართულებით და მათთვის გასაგები და მარტივი იყო ამ პროგრამაზე სწავლა, ასევე ეს პროგრამა განვითარების დიდ შესაძლებლობებს იძლევა. მითუმეტეს აღნიშნული სფერო არ საჭიროებს წინარე დიდ გამოცდილებას. მან, ასევე, კვლავ მაგალითად მოიყვანა ამერიკის გამოცდილება და აღნიშნა, რომ მისი გამოცდილებიდან გამომდინარე იგი ხშირად იყენებს ამერიკის მაგალითებს და არა სხვა რომელიმე ქვეყნის. მისი განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამერიკული კოლეჯების მსგავსად, სურთ მიიზიდონ მოტივირებული პირები, ვისაც თავისი პოტენციალის გამოვლენა სურს ამ სფეროში. მან ასევე აღნიშნა, რომ მადლობელია იმ რეკომენდაციებისათვის რაც მიიღეს, თუმცა მიზი მოსაზრებით ეს რეკომენდაციები არ იყო მიმართული პროგრამის გაუმჯობესებისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელმა მირზა-პაპუნა დავითაიამ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის იდეა მისმა პირადმა გამოცდილებამ გამოიწვია, რადგან საქართველოში მოღვაწე ამ სფერო წარმომადგენლებს ექმნებოდათ პრობლემები ამერიკული და ევროპული გამოცდილების მქონე კოლეგებთან ურთიერთობისას, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში ამ მიმართულებით განათლების სისტემაში არსებული გამოწვევებით. მან ხაზი გაუსვა აშშ-ში მსგავსი პროგრამების არსებობას, რომლებიც ცნობილია, როგორც „filmmaker”. აღნიშნული მიმართულების სპეციალისტი უნდა ერკვეოდეს ფილმის წარმოების ყველა ასპექტში, სწორად ამ საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგის შექმნა სურდათ საქართველოშიც, და ამიტომ აირჩიეს „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ კვალიფიკაცია. აღნიშნული პროგრამით მათ არ სურთ გაზარდონ მხოლოდ რეჟისორები, ოპერატორები ან პროდუსერები. მათი მიზანია

კურსდამთავრებულს შეეძლოს კინოწარმოებისთვის საჭირო ნებისმიერი მანიპულაციის შესრულება. იგი, ასევე, შეეხო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და განმარტა, რომ პრაქტიკა აჩვენებს, რამდენად კარგად შეუძლია სრულიად სხვა მიმართულების მქონე ადამიანს აითვისოს ეს პროფესია. აქედან გამომდინარე, მან განაცხადა, რომ კინოში ადგილის პოვნა ყველასთვის შესაძლებელია, რადგან კინოინდუსტრია მრავალი პროფესიის მომცველია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ არგუმენტებს ვერ ხედავს იმისა თუ რატომ არ არის აღნიშნული პროგრამა დიდი სასერთიფიკატო კურსი, ვინაიდან თეორიული საფუძველიც ნაკლებად არის გააზრებული და ეჭვქვეშ აყენებს იმ ფაქტს - წინარე განათლების არმქონე პირი რამდენად შეძლებს დაძლიოს ზღვა მასალა, რომლის თითოეული შემადგენელი კომპონენტი მეტ დროს მოითხოვს ვიდრე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრული ხანგრძლივობა. აქედან გამომდინარე მისთვის ეს პროგრამა ტოვებს პროფესიული პროგრამის შთაბეჭდილებას, რადგან თეორიულ კომპონენტებზე ყურადღება არ არის სათანადოდ გამახვილებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან სთხოვა დაწესებულებას არგუმენტირებულად განემარტა რატომ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამა სამაგისტროს და არა სასერთიფიკატო კურსს.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ ვისი გამოკითხვა მოხდა და რა მეთოდებით შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორია სამაგისტრო გამოცდის ფორმატი, არსებობს თუ არა წინასწარ განსაზღვრული საკითხები და ლიტერატურის ჩამონათვალი და ამის შესახებ, თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია აპლიკანტებს. და ასევე მისი კითხვა შეეხო არსებული კომპიუტერების სიმძლავრესა და მეხსიერების მოცულობას. ირინა ლობჟანიძემ, ასევე, კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაედასტურებინათ აღნიშნული პროგრამა რომელ დონეს უფრო შეესაბამება საბაკალავროს თუ სამაგისტროს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა განმარტა, რომ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი რიგ სასწავლო კურსებში სრულად არის განსაზღვრული, მათ შორის ასევე ძირითად სასწავლო კურსებში. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა ხომ არ არის მოცემული სასწავლო კურსების სწავლების შედეგები აცდენილი პროგრამის სწავლის შედეგებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა ,,კრეატიული მარკეტინგის" სილაბუსი და დააზუსტა, თუ რამდენად არის სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი და მასში არსებული ძირითადი ლიტერატურა რამდენად იძლევა შედეგზე გასვლის საშუალებას, რადგან მითითებული ორი სახელმძღვანელოდან ერთი არის საბაკალავრო საფეხურისთვის განკუთვნილი, ხოლო მეორე განკუთვნილია პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პროგრამის ხელმძღვანელებს სთხოვა მცირე პრეზენტაცია გაეკეთებინათ მათი პროფესიული გამოცდილების შესახებ, რადგან წარმოდგენილ სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში მათი პირადი საქმეები არ მოიპოვება.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსების მიხედვით გამოკითხვის ძირითადი მეთოდებია ქვიზი და საშინაო დავალება, ხოლო ბოლოს ფინალურ გამოცდაზე არის პრაქტიკული ნაწილი. შესაბამისად, რამდენად არის შესაძლებელი როდესაც მთლიანად მთელი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი თეორიულ დავალებას ასრულებს, ფინალურ გამოცდაზე კი მას მოეთხოვება პრაქტიკული დავალების შესრულება შესაბამის უნარების გამოვლენის გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, ქრისტინე ჩიხლაძემ უპასუხა გურანდა ჭელიძის კითხვას და აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდებში და შეფასების რუბრიკებში ნაკლებად იკითხებოდა შემოქმედებითი უნარების განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ ქვიზებითა და საშინაო დავალებით და, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ სწავლა-სწავლების მეთოდებში და შეფასების რუბრიკები მეტად შემოქმედებითი ყოფილიყო, რათა საბოლოოდ სტუდენტებმა შეძლონ დასკვნითი გამოცდის სრულყოფილად ჩაბარება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია ლევანიძემ, საბჭოს წევრის, ირინა ლობჟანიძის კითხვასთან დაკავშირებით დააფიქსირა, რომ აღნიშნული პროგრამა საბაკალავრო საფეხურის კი არა,

მთლიანად სასერტიფიკატოა, მასში არ არის გათვალისწინებული თეორიული კურსები და აგებულია მთლიანად პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ლექციის პერიოდი მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სააუდიტორიო მეცადინეობისათვის გამოყოფილი საკონტაქტო საათები (2 საათი) ძალიან მცირეა ამ რაოდენობის მასალის ასათვისებლად. მან ასევე გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ექსპერტებისგან მეტი კონკრეტიკის მოთხოვნა, მაშინ როდესაც თავად პროგრამების ხელმძღვანელები ზედაპირულად ეხებიან დისკუსიის დროს სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსებისა და კრედიტების გადანაწილებას, არაობიექტურია. ექსპერტის განმარტებით ვიზიტის მსვლელობის დროსაც რამდენჯერმე გაამახვილეს ყურადღება იმ საკითხზე, რომ 2 წელიწადში რამდენად შეძლებდა საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ყოფილიყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი კინოწარმოების ყველა მიმართულებით. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მთავარი პრობლემა და გამოწვევა არის ის, თუ როგორ მოახერხეს არსებული ფორმით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მომზადებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია გაზარდოს აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი და არა რეჟისორი ან პროდიუსერი.

არჩილ ჯანგირაშვილს ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის წევრი, მაია ლევანიძე, რომელმაც დაწესებულებას მიმართა და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სათაური ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს შინაარსს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუშაშვილმა მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს, რომ დაეცვათ სხდომის მიმდინარეობის ფორმატი, რადგან სხდომაზე არ უნდა იმართებოდეს დისკუსია ექსპერტთა ან დაწესებულების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს წამოწეული საკითხებისათვის და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები ამ შემთხვევაში ითავსებდნენ ექსპერტების როლს, და რომ მოხარული იქნებოდა თუ მსგავსი შეკითხვები გაუჩნდებოდათ ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში, რაც, მისი აზრით, უფრო რელევანტური იქნებოდა, ვიდრე ის საკითხები რაც ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნა, რომ შეფასების კომპონენტი მოიცავს ქვიზს, საშინაო დავალებებსა და გამოცდა. მნიშვნელოვანია, რომ ქვიზი მოიცავს არა ერთ პრაქტიკულ დავალებას, რაც ჩაშლილია კრიტერიუმების სახით, რისი შეფასებაც ხდება ლექტორის მოსაზრების შესაბამისად. ხოლო, რაც შეეხება განსხვავებას სასერთიფიკაციო კურსსა და სამაგისტრო პროგრამას შორის, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში აღნიშნული საკითხი აქტიურად განიხილებოდა სხვადასხვა მიმართულებით, ასევე განიხილა პროგრამის განვითარების საბჭომაც. განხილვის პროცესში გამოიკვეთა ორი ძირითადი საკითხი, დაწესებულების მოსაზრებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან დღეს ონლაინ, ღია სივრცეში ხელმისაწვდომია უამრავი პლატფორმა სხვადასხვა საკითხის დისტანციურად შესწავლისათვის. ამასთან მოთხოვნების გათვალისწინებით დაწესებულებამ გადაწყვიტა შეემუშავებინა სამაგისტრო საფეხურის პროგრამა, რადგან სამაგისტრო საფეხური საშუალებას მისცემდა სტუდენტს უფრო კონცენტრირებული ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და, ასევე, მათი მიზანი იყო საქართველოში, საგანმანათლებლო ბაზაზე არ ყოფილიყო სხვა, მსგავსი ანალოგი პროგრამა. მათი განმარტებით კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა, როგორც დრამატურგიის, რეჟისურის,

ისე სხვა მიმართულებების კუთხით. სევე, მნიშვნელოვანია მათი კონტაქტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება თუნდაც მათი ბოლო ნამუშევრებით, რომლებიც საკმაოდ ცნობადი და აღიარებულია.
დაწესებულების წარმომადგენელი, არჩილ ჯანგირაშვილი შეეხო ეკატერინე შაკიაშვილის მიერ დასმულ კითხვას, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში არსებულ ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის კომპეტენციებს (საქმე ეხება საავტორო სამართლის სილაბუსს, რომელიც სამართლის პროგრამიდან იქნა გადმოტანილი და, შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით მოიცავდა ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგს), და განმარტა, რომ ეს არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც გამოიკვეთა მოგვიანებით და დოკუმენტაციის გამოცვლის საშუალება ვერ მიეცათ. აღნიშნული, ასევე, განმარტეს ინტერვიურების დროსაც, თუმცა მათი არგუმენტი არ იყო გათვალისწინებული ექსპერტთა მიერ.
ხოლო რაც შეეხება პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, პროგრამაზე მიღების გამოცხადების შემთხვევაში, გააქტიურდება ბმული, რომელიც მსურველს საშუალებას მისცემს იხილოს ინგლისური ენის ტესტების და სპეციალობის საგამოცდო საკითხების ნიმუშები.პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან. ვებ-გვერდზე, ასევე, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს დამატებითი კონსულტაციისთვის დაუკავშირდნენ უნივერსიტეტს.
არჩილ ჯანგირაშვილის თქმით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად ახლდება, შესაბამისად, კომპიუტერული ტექნიკა მუდმივ განახლებაშია და, ასევე, აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით ისინი მოემსახურნენ ორჯერ მეტ აპლიკანტს, ვიდრე აპირებენ რომ მიიღონ სამაგისტრო საფეხურზე. აქედან გამომდინარე, საერთიფიკატო კურსების მსვლელობისას ნათლად გამოიკვეთა თუ რა ნაწილში საჭიროებდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაძლიერებას.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ არჩილ ჯანგირაშვილთან დააზუსტა ინფორმაცია კომპიუტერული ტექნიკისა და მისაღები სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობასთან დაკავშირებით.
აღნიშნულ კითხვას უპასუხა პროგრამის ხელმძღვანელმა მირზა-პაპუნა დავითაიამ და აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამისთვის არ იყენებენ მხოლოდ 3 კომპიუტერს, არამედ მაგალითად სცენარზე მუშაობისას სტუდენტები გამოიყენებენ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სხვა კომპიუტერულ ტექნიკას. მხოლოდ 3 კომპიუტერის არსებობის თეორია წამოიჭრა იმაზე დაყრდნობით, რომ უსდ-ს აქვს 3 სამონტაჟე მაგიდა. მან აღნიშნა, რომ თითოეულ სტუდენტს სჭირდება 15 საათი ჯამში იმისათვის, რომ დაამონტაჟოს 20-წუთიანი ფილმი. ასევე მან აღნიშნა, რომ კომპიუტერები არის Apple-ის ბოლო მოდელები და რაც შეეხება მახსოვრობის მოცულობას, თითოეულ სტუდენტზე გათვლილია 10 ტერაბაიტი გარე ვინჩესტერზე. შესაბამისად, მისი აზრით, 3 სამონტაჟო 20 სტუდენტისთვის სავსებით საკმარისია.
არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ თავად თითოეული კომპიუტერის მოცულობა 16 ტერაბაიტიანია. ხოლო ავტონომიურობა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მან კვლავ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ იყო აცდენაში პროგრამის სწავლის შედეგებთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კალმახელიძემ განმარტება გააკეთა ნინო ჭალაგანიძის კითხვაზე, თუ რატომ არის აღნიშნული პროგრამა სამაგისტრო დონის შესაბამისი და არა სასერტიფიკატო კურსის. მან კვლავ მოიყვანა მაგალითი ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებიდან, მოიყვანა რამდენიმე მაგალითი როგორც ანალოგი საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამების, ასევე სასერტიფიკატო პროგრამების. მისი განმარტებით სამაგისტრო პროგრამა, სასერტიფიკატო კურსებისგან განსხვავებით, მისცემდათ შეფასების გაკეთების საშუალებას, რადგან იგი თვლის რომ სასერტიფიკატო კურსები უფრო თავისუფალია შეფასების ნაწილში და მკაცრად არ აფასებს მონაწილეებს, რაც არ იძლევა ნათელ სურათს მონაწილეების უნარებისა და შესაძლებლობების შეფასების შესახებ. ხოლო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში

დაწესებულება შეძლებს სიღრმისეულად დააკვირდეს სტუდენტების შესაძლებლობებს და უნარებს შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი.
ხათუნა კალმახელიძე, ასევე, შეეხო შრომის ბაზრის კვლევას და განაცხადა, რომ გამოკითხვა ჩატარდა პანდემიის პერიოდში. აქედან გამომდინარე, დამსაქმებლებს დაეგზავნათ კითხვარები, რომლებიც მათ უნდა შეევსოთ, თუმცა უკუკავშირის დროს მათ მიიღეს ბევრად მეტი ინფორმაცია, ვიდრე გათვალისწინებული იყო მათ მიერ შემუშავებულ კითხვარებში. ასევე, ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუები და დისტანციური კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს არამარტო კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმა, არამედ სარეკლამო კომპანიებმაც. ასევე გამოკითხული იყო თვითნასწავლი ფრილანსერებიც, რომლებიც განსხვავებული კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, შეიცვალეს პროფესია და გადავიდნენ კინოწარმოების სფეროში და თავისი ადგილი დაიმკვიდრეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისი განმარტებით პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პრაქტიკის დიდი კონცენტრაცია და აღნიშნავს, რომ პროგრამა არ განიცდის თეორიული კომპონენტის ნაკლებობას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მირზა-პაპუნა დავითაიამ ისაუბრა თავისი კვალიფიკაციის შესახებ და განაცხადა, რომ დამთავრებული აქვს ნიუნბერგის სამხატვრო აკადემია, 1 წლიანი ანიმაციის კურსები საქართველოს ძველ კინოსტუდიაში, პარალელურად სწავლობდა გრაფიკას სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიაში და, ასევე, დამთავრებული აქვს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი. მისი კინომატოგრაფია მოიცავს: რამდენიმე დოკუმენტურ ფილმს, უკანასკნელი “ციხე ხაჯიბეი”, “აგვისტოს ხუთი დღე”, “ანტონი”, “ვიწრო ხიდი”, სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი “ვეფხისტყაოსანი”, რამდენიმე ვიდეოკლიპი და სხვ. ასევე, განაცხადა, რომ აქვს მაგისტრის ხარისხი გამოყენებით ხელოვნებაში. რაც შეეხება მის ადმინისტრაციულ პოზიციებს, მან განაცხადა, რომ იკავებდა კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას 2004 – 2008 წლებში, იყო 2008 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი და იყო სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში და კანონპროექტის ავტორი, რომელმაც გაამარტივა საქართველოში ფილმების გადაღების პროცედურა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, რომ მას აქვს ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერებებში, მეორადი კონცენტრაციით საერთაშორისო ეკონომიკაზე (New-york city university ჰანტერის კოლეჯი) და მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის, ელიოტის სკოლაში. საქართველოში ეკავა სასჯელ-აღსრულების მინისტრის თანამდებობა 2010-2012. მჟამად, არის შპს საქართველოს უნივერსიტეტის პრორექტორი საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტურ საქმეთა ცენტრის სტუდენტების დასაქმების მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლუკა ბერაიამ, დამატებით აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა დამატებითი ხარჯების გაწერას აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით არ იყო რელევანტური. პროგრამაში გაწერილია, უშუალოდ, ის ხარჯები, რაც პირდაპირ უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯებს (მაგალითად შრომის ანაზღაურება), ხოლო რაც შეეხება დამატებით ხარჯებს (მაგალითად სტუდენტების პროექტების დაფინანსება) მისი დაფარვა ხდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. რაც შეეხება, პრაქტიკული კომპონენტების შეფასების მექანიზმებს, მან აღნიშნა, რომ გარკვეულ სილაბუსებში შუალედური შეფასებები ჩაშლილია შემდეგ პრაქტიკულ პროექტებთან: პრაქტიკული პროექტი 1, პრაქტიკული პროექტი 2, პრაქტიკული პროექტი 3 და ფინალური პროექტი.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა, ლუკა ბერაიამ, მოკლე ჩართვა გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ არის აღნიშნული პროგრამა სასერტიფიკატო და რატომ წარმოადგენს სამაგისტრო საფეხურის შესაბამის პროგრამას. მისი თქმით, სასერტიფიკატო პროგრამისგან განსხვავებით, სამაგისტრო პროგრამაში გაჩენილია შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოწმდება ცენტრალიზებული გამოცდებით, კონკრეტულ პროექტებზე არსებობს კონკრეტული შეფასების მეთოდები. ასევე განსხვავებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების

კრიტერიუმები. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა მორგებულია საგანმანათლებლო სამაგისტრო საფეხურს და ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.
საბჭოს წევრმა, ქალბატონა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, გააკეთა კომენტარი ,,კრეატიული მარკეტინგის" სილაბუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსში არის განსაზღვრული სწავლის შედეგები და თემატიკა, და თემატიკის დაფარვისთვის მითითებული ლიტერატურა, პროგრამას ვერ გაიყვანს მითითებულ შედეგებზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მირზა - პაპუნა დავითაიამ მცირედი განმარტება გააკეთა, პროგრამის საფეხურთან დაკავშირებით, და აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირებს აქვთ სურვილი ჰქონდეთ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი ამ მიმართულებით. რაც შეეხება პროგრამის ხანგრძლივობისა და მოცულობის თავსებადობას, მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მოცემული პროგრამის ანალოგი არსებობს რამდენიმე ამერიკულ პრესტიჟულ უნივერსიტეტში (ნიუ-იორკის ფილმ აკადემია, ლოს-ანჟელესის კინოსკოლა) და, შესაბამისად, თუ ამ სხვა პროგრამებზე შესაძლებელია 2 წელიწადში საკითხის სრულად შესწავლა, კინოწარმოების აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამაც შეძლებს დასახული მიზნების მიღწევას. ასევე, მისი აზრით, ამას ადასტურებს ისიც, რომ 3 თვიანი სასერტიფიკატო პროგრამების ფარგლებშიც შესაძლებელი იყო მნიშვნელოვანი მოცულობის პროგრამის დაძლევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:09
დასრულების დრო: 19:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 11

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და დაამატა რეკომენდაციები/რჩევები, რამაც შეცვალა სტანდარტის შეფასებები: კერძოდ 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან", ხოლო 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". შესაბამისად მეორე სტანდარტი განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან". ცვლილება ასევე შეეხო 5.1 კომპონენტს, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1. რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;

2. რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა;
4. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება;
6. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები;
7. რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში;
9. რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას;
10. რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
11. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ;
12. რეკომენდებულია სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან.

13. რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
14. რეკომენდებულია გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები;
15. რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად;
16. რეკომენდებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა.
17. ეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის “კრეატიული მარკეტინგი” სილაბუსი, სწავლის შედეგები განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, თემატიკა გადაიხედოს ათვისებისათვის წინაპირობების საჭიროების თვალთახედვით, ცალკეული თემების დაძლევისათვის შეირჩეს სწავლების საფეხურისა და განსახილველი საკითხის რელევანტური ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
18. რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.);
19. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში; რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას;
20. რეკომენდირებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
21. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში;
22. რეკომენდებულია, პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოიძებნოს კურსის სპეციფიკის შესაბამისი რელევანტური ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და შემოქმედებით დარგებში ცოდნის დემონსტრირებას;
23. რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
24. რეკომენდებულია პროგრამის ხემლძღვანელების პირადი საქმეები წარმოდგენილი იყოს თანდართულ დოკუმენტაციაში.

25. რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძოდ კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი;
26. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;
27. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;
28. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე;
29. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის, საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;
30. რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
31. რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან;

რჩევა:

- სასურველია, განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები პროგრამაში ჩართულ დარგის თითოეულ სპეციალისტთან პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით;
- სასურველია ჩატარდეს საფუძვლიანი კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს შორის მიღების წინაპირობებით არსებული რისკების განსაზღვრისა და აღმოფხვრის თაობაზე;
- სასურველია, კურიკულუმში გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა;
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის“ გადმოტანილ იქნას ძირითად სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია პროდიუსერის სპეციალობისთვის), რადგან აღნიშნული სასწავლო კურსიხელს უწყობს

შესაბამისი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა მაგ., შემოქმედებითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის განსზღვრის და დაგეგმვის უნარი, რთულ და მოულოდნელ სიტუაციაში დამატებით სახსრების მოძიებისა და სწორად დაგეგმვის უნარი და სხვ.;

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა ისეთი სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით, როგორიცაა გაცვლით პროგრამები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და ასევე, უნივერსიტეტის შუამდგომლობით დასაქმებისა. სტუდენტებს სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ამ მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის გუნდის აქტიურ ჩართვას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მართებულ აღქმას;
- სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი დარგის წარმომადგენლების ექსპერტული ჩართულობით უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ერეკლე ასტახიშვილი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ითხოვეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფარმაცევტული ქიმიის” სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა (დღის წესრიგის მიხედვით მე-4 და მე-5 საკითხები) მომხდარიყო ინგლისურ ენაზე, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი არის უცხოელი და სრულყოფილად არ ფლობს სახელმწიფი, ქართულ ენას.

.აღნიშვულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ საქრათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად წარმოება და საკითხის განხილვა უნდა მომდინარეობს სახელმწიფო ენაზე და მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, შეძლებდნენ თუ არა უზრუნველყონ სხდომის თარგმნა.

ენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულებისა და ექსპერტთა საქმიანობის წერსის მიხედვით განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს სხდომის მიმდინარეოს თარგმანს, თუ მას ესწრება საერთაშორისო ექსპერტ(ებ)ი.

ღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა მოითხოვეს საკითხის გადადება მომხდარიყო შემდგომი სხდომისათვის და თავად უზტუნველყოფდნენ აღნიშნული საკითხების ზეპირი მოსმენის სინქტონულ/თანმიმდევრულ თარგმანს საგამანათლებლო პროგრამების ხელნმძღვანელისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ განხილვა გადადებულიყო 2022 წლის 22 ივლისს ჩანიშნულ საბჭოს სხდომამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ განხილვა გაიმართოს 2022 წლის 22 ივლისს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 19 ივლისის 19:38 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით